თემატური ჯგუფი - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“

თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №16

19 ივნისი, 2012
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	**ადგილი**	**დასაწყისი**	**დასასრული**
19 ივნისი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	15:00	16:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის მიმოხილვა
4. ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) პროექტის – “საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება” -შედეგების მიმოხილვა

მონაწილეები			
სახელი, გვარი	**დაწესებულება, თანამდებობა**	**ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი**	**სტატუსი**
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41	წევრი
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49	მონაწილე
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43	წევრი

	უფროსი		
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77	წევრი
ნინო კოპალეიშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	nkopaleishvili@yahoo.com 577 15 33 01	მონაწილე
მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი ”პანაცეა”/მოადგილე	chikhladzemaia@yahoo.com 577 74 74 44	წევრი
დიმიტრი მოლაშვილი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და ინკლუზიური განათლების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი	dmolashvili@gmail.com 577 79 79 50	წევრი
ნინო ყოჩიშვილი	ევროკომისიის საქართველოს დელეგაციის პროექტების მენეჯერი	Nino.kochishvili@eeas.europa.eu	მონაწილე
მაკა კორძაძე	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/კოორდინატორი	Maka_kordzadze@yahoo.com 577 27 88 21	მონაწილე
გოჩა გოგიტიძე	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი	g.s.gogitidze@bsma.edu.ge 577 44 24 09	მონაწილე
თამარ ლორთქიფანიძე	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს კოორდინატორი	tata.lortkipanidze@eqe.ge 577 278834	მონაწილე

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. **დღის წესრიგის განხილვა**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. **წინა სხდომის ოქმის (ოქმი №15. 29 .05.2012) დამტკიცება**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - **ოქმი თან ერთვის**

3. **პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის მიმოხილვა**

<u>რეზიუმე</u>:

თამარ ლორთქიფანიძემ და პროგრამისტმა ოთარ მესხმა დამსწრეებს გააცნეს პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზა, რომელიც განთავსებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე (http://eqe.ge/geo/education/professional_education/occupational_standards_list), მონაცემთა ბაზაში მიმართულებების მიხედვით განთავსებულია თითოეული სტანდარტი (ატვირთულია სტანდარტის ტექსტი) დასახელებით, კოდით, დამტკიცების ბრძანებით (მითითებულია ბრძანების ნომერი, თარიღი და ატვირთულია ბრძანების ტექსტი), დეტალურადაა ინფორმაცია სტანდარტის წარმომდგენი ორგანიზაციისა და კვალიფიკაციის დონეებისა და შესაბამისი კრედიტების შესახებ. ამ ეტაპზე ბაზაში განთავსებულია უკვე დამტკიცებული 226 სტანდარტი. პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (ექსპერტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები და მომხმარებლები, დაინტერესებული პირები). ვებ-გვერდზე არსებობს სტანდარტების მონაცემთა ბაზის ინგლისურენოვანი ვარიანტიც, რამდენადმე შემცირებული.

<u>შენიშვნები:</u>

მოსაზრებები გამოთქვეს მარინა ჟვანიამ, ლალი ღოღელიანმა, გოჩა გოგიტიძემ, მაია ჩიხლაძემ. მათი აზრით, სტანდარტების მონაცემთა ბაზა სავსებით მისაღები და ადვილად გამოსაყენებელია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

- მოწონებულ იქნას პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზა
- საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურმა უზრუნველყოს ბაზის შევსებისათვის საჭირო ინფორმაციის მომზადება და მიწოდება შესაბამისი სამსახურისათვის.

4. ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) პროექტის – "საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება" -შედეგების მიმოხილვა

ნინო კოპალეიშვილმა დამსწრეებს გააცნო პროექტის აქტუალობა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) პროექტის - "საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება" - მიზანი იყო ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაძლიერება. ინიციატივის ფარგლებში მოხდა ბუღალტრისა და ელექტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითზე პროგრამების მომზადების ახალი მიდგომებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება. პროექტის ფარგლებში მუშაობდა 2 ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, ჩატარდა რამდენიმე სემინარი და ტრენინგი. მომზადდა პროგრამების ნიმუშები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების გზამკვლევი (გაიდლაინი), ამ ნიმუშების საფუძველზე მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების ზოგადი მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდეგ მისი ადაპტირება მთელი სისტემისათვის. **(პრეზენტაცია თან ერთვის).**

<u>**მოსაზრებები და რეკომენდაციები:**</u>

აზრი გამოთქვეს მარინა ჟვანიამ, ლალი შაიშმელაშვილმა, ნანი დალაქიშვილმა, გოჩა გოგიტიძემ, მათი მოსაზრებით მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს პროფესიული კვალიფიკაციების, სტანდარტების და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული პროგრამების დახვეწა-განვითარება და ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ადგილობრივი რესურსები, ასევე დონორთა გამოცდილება და ფინანსური მხარდაჭერა. ამდენად, ამ პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ექნება პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისთვის.

დიმიტრი მოლაშვილი დაინტერესდა, რამდენად აუცილებელი იქნება ახალი მეთოდოლოგიით ამ ეტაპზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადაკეთება.

მ. ჟვანიამ განმარტა, რომ ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა მოხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციით ეტაპობრივად ტრენინგებისა და კონსულტაციების საფუძველზე.

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

- ცენტრის თანამშრომლების მიერ დამუშავებულ იქნას პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების პროექტები და მოხდეს შემუშავებული დოკუმენტების ადაპტირება ადგილობრივი კონტექტის გათვალისწინებით.
- მომზადდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნიმუშები და ნიმუშის მოსამზადებელი სახელმძღვანელო პრინციპები/გზამკვლევი/ტექნიკური გაიდლაინი და განსახილველად წარედგინოს თემატურ ჯგუფს.

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროექტი

წინო კოპალეიშვილი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროექტი

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროექტი 2011 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო
- ორი პროფესიული სტანდარტი, ბუღალტრისა და ელექტრიკოსის სტანდარტი, იქნა შერჩეული თითოეულ პროფესიაში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის გადანედვის მიზნით.
- ორივე სპეციალობის პროფესიულ სტანდარტზე მომუშავე ჯგუფები დაკომპლექტდა შესაბამისი დაინტერესებული პირებით, რომლებიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეირჩა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისროს მიერ დამტკიცდა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროექტი

- სამუშაო ჯგუფის შეხვედრები გაიმართა ETF-ის ექსპერტებთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობისა და ცენტრის უშუალო ზედამხედველობის ფონზე.

- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა სამუშაო ჯგუფის წევრების ინტერესი შეფასების მეთოდების განსაზღვრის კუთხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროექტი

- შესაბამისად, ჩარჩო პროგრამის წიმუში ელექტრიკოსისა და ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციებისათვის აღწერს შეფასების მეთოდებს.

- ასევე, შეიქმნა სახელმძღვანელო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, განხორციელებისა და გადახედვის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროექტი

- შემდეგი საბიჯი იქნება ცენტრის თანამშრომლების მიერ პროექტის ფარგლებში შემუშავებული მასალების პროექტების განხილვა
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები შეეცდებიან მეტად მოარგონ შემუშავებული მასალები ადგილობრივი კონტექტს. ცენტრის თანამშრომლების მიერ მასალები პროგრამის ჩარჩოს განვითარებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებისათვის შექმნილი სახლმძღვანელოს კონტექსტში განიხილება

გმადლობ ყურადღებისათვის!